ა(ა)იპ - საქართველოსშოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორის, ასოცირებული და ასისტენტ -პროფესორის აკადემიური

თანამდებობების დაკავების წესი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოსკანონის 34-ე, 35-ედა 36-ე მუხლის თანახმად, აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით, პროფესორთა ღია კონკურსით შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:

აკადემიური თანამდებობის დაკავება მოხდება ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის

ფაკულტეტის სპეციალობებისათვის:

1. **პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია:**

დოქტორის აკადემიური ხარისხი, დისციპლინის სწავლების კონცეფციის წარმოდგენა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე.

სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობი სბოლო, არანაკლებ 6 წლის უწყვეტი სტაჟი;

აგრეთვე, მსოფლიო თეატრისა და კინოს ისტორიის მიმართულებით, სრულიპროფესორის თანამდებობის დასაკავებლად, კანდიდატს მოეთხოვება (საერთაშორისო) უცხოენი სარანაკლებ B2 დონეზე ცოდნა და ამ ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი დიპლომის ან სერთიფიკატის ასლი, ან სახელმწიფოს მიერ აღიარებული შესაბამისი პროფილის ორგანიზაციის მიერ გაცემული, ენის ცოდნის დამადასტურებელი, სხვა დოკუმენტის ასლის წარმოდგენა.

2. **ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია:**

დოქტორის აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო- პედაგოგიური მუშაობისბოლო, არანაკლებ 3 წლის უწყვეტი სტაჟი; დარგის სწავლების კონცეფციისა და სილაბუსების წარმოდგენა საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებზე;

აგრეთვე, მსოფლიო თეატრისა და კინოს ისტორიის მიმართულებით, ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება (საერთაშორისო) უცხოენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა და ამ ცოდნის დამადასტურებელი დიპლომის ან სერთიფიკატის ასლი, ან სახელმწიფოს მიერ აღიარებული შესაბამისი პროფილის ორგანიზაციის მიერ გაცემული, ენის ცოდნის დამადასტურებელი, სხვა დოკუმენტის ასლის წარმოდგენა.

3. **ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია**

პროფესორის რეკომენდაცია. კანდიდატი უნდა იყოს დოქტორის ხარისხის მფლობელი.

ძირითადიმოთხოვნები:

1. განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

2. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი;

3. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

4. მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები (CV) და შემოქმედებითი წარმატებების ნუსხა;

5. ერთი ფოტოსურათი (3 X 4);

6. კურიკულუმი;

7. დისციპლინის სწავლების სტრუქტურის მოკლე აღწერა - სილაბუსი/სილაბუსები (სილაბუსში მითითებული უნდა იყოს: საგნის სახელწოდება, სწავლების მიზანი, კურსის მოცულობა, მეთოდი, კრედიტების მინიჭების პირობა, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, საგნის გეგმა თითოეულ ლექციაზე წასაკითხი მასალების მითითებით);

8. ასევე, აქტივობის (შემოქმედებითი, სამეცნიერო-პედაგოგიური და ა.შ.) დამადასტურებელი სხვა მასალა;

9. მიღებული განათლება, აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

10. პროფილის შესაბამისად გამოცემული წიგნები (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია და ა.შ.);

11. პროფილის შესაბამისად გამოქვეყნებული სამეცნიერო და საგანმანათლებლო შინაარსის შრომები;

12. საქართველოს ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

13. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი სასლი;

14. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

დამატებითი მოთხოვნები:

- პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული პრემია, გრანტი, სტიპენდია.

კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით.

საკონკურსო კომისიის წევრს რექტორი დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ორიმესამედი.

საკონკურსო კომისია შედეგებს წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით – ღია კენჭისყრით.

საკონკურსო კომისია ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს საკონკურსო პირობების ძირითადი და დამატებითი მოთხოვნებით.

საკონკურსო კომისია კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას აფასებს 10 ქულიანი სისტემით, „ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების“ თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და ქულათა ჯამით გამოავლენს კონკურსში გამარჯვებულს.

საკონკურსო კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსანტის არჩევის შესახებ.

აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება, აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

სააპელაციო კომისიას იწვევს რექტორი და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

სააპელაციო კომისია განისაზღვრება 3 წევრით.

სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი.

სააპელაციო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას ამტკიცებს წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით - ღია კენჭისყრით.

კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. #6.

კონკურსში მონაწილეთა შეზღუდვა:

კანდიდატი, რომელსაც უკავია აკადემიური თანამდებობა სხვაუმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, პროფესორის თანამდებობაზე გასვლის შემთხვევაში, კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, ვალდებულია არსებული სამსახურიდან გათავისუფლდეს; ხოლო ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავებისას, პირს, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის უფლება აქვს, მხოლოდ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობით.

კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებგვერდზე.